ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

განკარგულება:**გ-93. 93241875**
თარიღი:**05/07/2024**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ(დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი)

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 35-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“- ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნაწილის, ქალაქ ლაგოდეხში, ქიზიყის ქუჩა N25-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 134.23კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (საკადასტრო კოდი - 54.01.54.032.01/505) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზურფრუქტის ფორმით გადასცეს ა(ა)იპ “ლაგოდეხის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი - 433109192) 2 (ორი) წლის ვადით.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

კარლო ჯამბურია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი